<sup>6</sup> ტერმინები „მედიაცია“ და „მორიგება“ ძალზე განსხვავებული შინაარსით გამოიყენება. როგორც წესი, განსხვავება მნიშვნელობაში ნათელია მესამე მხარისთვის, ან მესამე მხარეებისთვის, რომლებიც ეხმარებიან მხარეებს დავის მოგვარებაში. განსხვავება შეიძლება თვალსაჩინო იყოს მხოლოდ გამოყენებულ მეოდებს შორის. ეს შეიძლება მოიცავდეს მხარეებისთვის შესაძლებლობის მიცემას, იპოვნონ გადაწყვეტა (ხელშემწყობი მიდგომა), ან მხარეთა სამართლებრივი და ფაქტობრივი პოზიციის შეფასებას, სასამართლოს სავარაუდო გადაწყვეტილების შეფასების ჩათვლით (შეფასებითი მიდგომა). ეს შეიძლება მოიცავდეს ასევე შეთანხმების შინაარსის შეთავაზებას, დავის გადასაწყვეტად. თუმცა, ასეთი პროცედურების დროს არანაირად არ შეიძლება მავალდებულებელი გადაწყვეტილებების მიღება, თუ მხარეები არ შეთანხმდებიან ამის თაობაზე.

ყველა საზოგადოებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ადამიანებს კანონთან შემხებლობა სასამართლოში აქვთ თუ მის გარეთ. მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში, სასამართლო უზრუნველყოფს მედიაციას, მიუთითებს რა სასამართლო დავის მონაწილეებს, მიიღონ მედიაციის მომსახურება კერძო მიმწოდებლებისგან. ამგვარად, მედიაცია განცალკევებულია სამოქალაქო სარჩელისგან და მის ალტერნატივას წარმოადგენს. მხარეებს გზავნიან სასამართლოდან. ასეთ შემთხვევაში მედიაცია აღარ წარმოადგენს სასამართლოს საქმიანობის ნაწილს. საპირისპიროდ, სლოვენიაში, ლიუბლიანას რაიონული სასამართლო სთავაზობს მედიაციას, როგორც სასამართლოს მომსახურებას. ლორდ ვულფისა და გენის მიხედვით, ამ ბიზნეს სტრატეგიის საფუძველია პროგრესული ფილოსოფია, რომლის მიხედვითაც სასამართლოს მომსახურება არ შემოიფარგლება მხოლოდ სასამართლოს გადანყვეტილების გამოტანით, არამედ ის ასევე მოიცავს დავების მოგვარებას, მორიგებით.<sup>7</sup>

## მედიაცია, როგორც სასამართლოს სავალდებულო საქმიანობა

როგორც წესი, სასამართლოს არ შეუძლია იმდენი საქმის განხილვა დღეში, რამდენიც შეიძლება წარადგინონ მხარეებმა ან მათმა ადვოკატებმა. ამდენად, ბევრ ქვეყანაში, ხელს უწყობენ სასამართლოსთან არსებული ADR-ს ფორმირებას, პირველ რიგში, სასამართლოს სიტემის დატვირთვის შესამცირებლად. ეს მიზეზი წარმოადგენდა საფუძველს ვულფის რეფორმების გატარებისთვის, სამოქალაქო საპროცესო სისტემაში გაერთიანებულ სამეფოში, 1999 წლის<sup>8</sup> კულონის ანგარიშისთვის – საფრანგეთში, 1998 წლის რეფორმებისთვის – გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში, ჰოლანდიის ADR ანგარიშისთვის,<sup>9</sup> არასახელმწიფო *treteiskive sudi*-ს (სიტყვასიტყვით „მესამე სასამართლოები“) შექმნისთვის რუსეთში<sup>10</sup> და 1990 წელს სამოქალაქო სამართლის რეფორმის აქტის მიღებისთვის, შეერთებულ შტატებში.<sup>11</sup>

ლიუბლიანის რაიონულმა სასამართლომაც ცნო, რომ სანამ დავას სასამართლოში შეიტანენ, ეს ინდივიდუალური პირის საქმეა, ხოლო როგორც კი მას სასამართლოს გადასცემენ, ის სახელმწიფო სასამართლოს საქმე ხდება. ამგვარად, სასამართლო ვალდებულია მხარეებს შესთავაზოს ADR, რომელიც მდებარეობს სასამართლოში და რომელსაც ასევე სასამართლო ზედამხედველობს. სტიენსტრამ და ვილგინგმა მიუთითეს შემდეგი სამი ძირითადი მიზეზი, რომელთა გამოც მედიაცია დაემატა სამოქალაქო პროცესს:

- თანასწორობა სასამართლოზე ხელმისაწვდომობაში
- პროცესის სამართლიანობა
- ყოვლისმომცველი საჯარო-სამართლებრივი სასამართლო სისტემის შენარჩუნება.

სასამართლოს ამოცანაა დაეხმაროს მოქალაქეებს გადანყვიტონ დავები. ასეთ დროს, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს წვდომა ნებისმიერ პროცედურასთან, რომელიც შეესატყვისება კონკრეტულ საქმეს, არის ეს გადანყვეტილების გამოტანა, სასამართლო მორიგება, მედი-

<sup>7</sup> Lord Woolf, Genn H, Comments on the Slovenian Model of Court-Annexed Mediation, 2002, South East European Regional Conference on ADR, Ljubljana, Slovenia (conference video recording).

<sup>8</sup> Genn H, Court-Based ADR Initiatives for Non-Family Civil Disputes: Commercial Court and Court of Appeal, 2002, Lord Chancellor's Department, Research Secretariat, London.

<sup>9</sup> De Roo A, Report on the Various Means of ADR: Mediation, Conciliation, Arbitration, Council of Europe, 1999, SEM/ADR (99)8E, Strasbourg.

<sup>10</sup> Hendley K H, Murrel P M, Ryterman R R, Law, Relationships and Private Enforcement, Transactional Strategies of Russian Enterprises in Comprehensive Legal and Judicial Development, 2000, World Bank, Washington DC, Arbitration and Mediation in International Business, 1996, Kluwer International Law, The Hague, London, Boston.

<sup>11</sup> Galic A, 2000, Sodis v c u pridruz ene oblike alternativnega res evanja sporov v ZDA in mediacija v Singapuru: Primerjalnopravna analiza postopkov posredovanja (mediacije), pomiritve (konciliacije) in zgodnje nevtralne obravnave (ENE) kot oblik alternativnega res evanja sporov, Pravna fakulteta, Univerza v Ljubljani.

აცია, არბიტრაჟი, ადრეული ნეიტრალური შეფასება თუ რაიმე სხვა პროცედურა. მოქალაქეები, რომლებიც სამოქალაქო პროცესში მონაწილეობენ, ნამდვილად შოკირებულნი იქნებოდნენ, თუ სასამართლო, როგორც საჯარო სამართლის ინსტიტუტი, შესთავაზებდა მათ, რომ მიემართათ კერძო მიმწოდებლებისთვის, თავისუფალ ბაზარზე, დახმარებისთვის ADR-ში, მით უფრო იმ სისტემებში, სადაც ჯერ არ არსებობენ ამ მომსახურების კერძო მიმწოდებლები. სასამართლომ მოქალაქეებს უნდა შესთავაზოს შესაძლებლობა გადაწყვიტონ დავები შეთანხმებით და დაცვა, იმ პროცედურის მეშვეობით, რომელიც დაემატება სასამართლო პროცესს და დააკმაყოფილებს სამართლიანობის და მიუკერძოებლობის დადგენილ ყველა სტანდარტს.

მეორე მიზეზი, რის გამოც სასამართლოები ვალდებული არიან მხარეებს შესთავაზონ ADR, დაკავშირებულია პირველ მიზეზთან: პროცესის სამართლიანობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების ხარისხი გარანტირებულია (პრეცედენტების შერჩევა, მედიატორების ტრენინგი და ლიცენზირება, მედიატორების შეფასება, კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვა). სასამართლო მომზადებული და პასუხისმგებელია ამ ხარისხის შენარჩუნებაზე.

მესამე მიზეზია, რომ თუ სასამართლოები მოქალაქეებს შესთავაზებენ სადმე სხვაგან გადაწყვიტონ დავები, ამან შეიძლება გამოიწვიოს უნდობლობა სასამართლო სისტემის მიმართ. ზოგიერთი პრეცედენტი მნიშვნელოვანია სამართლის სრულყოფისა და განვითარებისთვის და ისინი სასამართლომ უნდა განიხილოს. თუ ADR მხოლოდ კერძო სექტორით შემოიფარგლებოდა, ეს მიგვიყვანდა კერძოსამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბებამდე, რომლის ეფექტიც ის იქნებოდა, რომ სასამართლოს ძირითად ფუნქციას, რომელიცაა სიმშვიდის შენარჩუნება და სამართლის შექმნა, საფრთხეს შეუქმნიდა, უფრო მეტად, ვიდრე ADR-ის შემთხვევაში, რომელიც იარსებებს სასამართლოსთან.<sup>12</sup>

## მრავალი ალტერნატივის პოლიტიკა

სასამართლოების მიერ ფორმირებული ADR პროგრამების ფართოდ გავრცელებამ შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ შეიძლება გაჩნდეს ასეთი მომსახურების განვითარებასა და უზრუნველყოფაზე სასამართლო მონოპოლიის ან ექსკლუზიურობის საფრთხე. მაგრამ, თუ, თავის მხრივ, სასამართლოებისგან მოელიან, რომ ისინი დავის გადაწყვეტის არაფორმალური მექანიზმების შედარებით უპირატესობებს საკუთარ ფორმალურ პროცედურებში გაითვალისწინებენ, რაც შესაძლებლობას მისცემს მხარეებს შეეცადონ დავის მოგვარებას ისეთი გზით, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს სოციალურ ნორმებსა და პრაქტიკას, შეუძლებელია იმ ფაქტის იგნორირება, რომ ADR მექანიზმები, თავისი არსით, მოდის კერძო და არა სახელმწიფო სექტორიდან.

თუ კერძო სექტორს დასჭირდება უმეტესად დაეყრდნოს საჯარო ან სახელმწიფო ინსტიტუტებს, კერძო სამართლებრივი დავების მოსაგვარებლად, მაშინ შეუძლებელი იქნება იმის მტკიცება, რომ ეს სექტორი მუშაობს. ამდენად, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს კერძო სექტორისთვის, რომ თავად გადაწყვიტოს საკუთარი პრობლემები.<sup>13</sup>

ქვეყნების თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში, კერძო სექტორის მხრიდან ინიციატივის ნაკლებობა ADR პროცედურების ფარგლებში დავების მონაწილეობით გადაწყვეტასთან მიმართებით, შესაძლოა, ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ ინიციატივა, ამ თვალსაზრისით, დროებით იკისრეს სახელმწიფო სასამართლოებმა.<sup>14</sup>

<sup>12</sup> Stienstra D, Wilging T E, Alternatives to Litigation: Do They have a Place in the Federal District Courts? 1995, Federal Judicial Center, Washington DC.

<sup>13</sup> Brazil W D, Why Should Courts Offer Non-Binding ADR Services? Optimising Court-Annexed Mediation Programs, 1998, ABA Section of Dispute Resolution, Washington DC, p 96.

<sup>14</sup> Zalar A, 2001, Temeljna nac`ela alternativnega res`evanja sodnih sporov, Podjetje in delo, 6-7/2001, Ljubljana.

თუმცა, პრინციპში, კერძო სექტორი გახდება ADR მექანიზმების ძირითადი წყარო და ადგილი, რამდენადაც მასში თავმოყრილია საჭიროებანი, მოტივები და შესაძლებლობები. სახელმწიფო სექტორთან შედარებით, გაცილებით მეტი დავაა კერძო სექტორში, რომლებსაც სჭირდება სათანადოდ გადანყვეტა, რომელიც მხარეებს საშუალებას მისცემს „წინ წაინიონ“ და, ამავე დროს, კერძო სექტორში უფრო ნაკლები ინსტიტუციონალური დაბრკოლებები არსებობს კრეატიულობის მხრივ, ორივე: პროცედურული და შინაარსობრივი თვალსაზრისით.

თუმცა, საჯარო სექტორში, კერძოდ სასამართლოებში ADR პროგრამების ფორმირება არ უნდა აღმოჩნდეს საფრთხეში ბიზნესის მოზიდვის, გარკვეული ტიპის პირების ან ინტერესთა ჯგუფების დაცვის ან კონკრეტული პოლიტიკური ძალების პოლიტიკის გატარებს სურვილით.<sup>15</sup> სასამართლოების მიერ ADR პროგრამების დაგეგმვისას საფრთხე ფარული მიზნები და გეგმები კი არაა, არამედ იმის გაუცნობიერებლობა, რომ ADR შეიძლება კარგი საშუალება იყოს დავების გადასაწყვეტად, თუ გათვალისწინებული იქნება ამ პროგრამების შეზღუდული არეალი.

ADR ვერ შეცვლის სასამართლოს გადანყვეტილების გამოტანის ფუნქციას; ის მხოლოდ დაემატება მას. ის ასევე ვერ დაძლევეს ყველა იმ პრობლემას, რომლებიც გადატვირთულ სასამართლოებს აქვთ.

სასამართლოსთან არსებული ADR პროცედურები ვერ გამოირიცხავს პიროვნების უფლებას სასამართლო დაცვაზე, როდესაც ის ცალსახად არაა თანახმა უარი განაცხადოს ასეთ უფლებაზე. სასამართლოს მიერ სხვადასხვა ფორმის ADR – ს უზრუნველყოფა ნიშნავს, რომ სახელმწიფო ხელს უწყობს მრავალი ალტერნატივის პოლიტიკის განხორციელებას. თუმცა, ყოველ პიროვნებაზეა დამოკიდებული თავისუფლად აარჩიოს პროცედურები, რომლებიც ყველაზე შესაფერისია მათთვის.

## თერაპიული მართლმსაჯულება

ახალი საჯარო მმართველობის სტრატეგიებისა და მეთოდების შემოღება სახელმწიფო სასამართლოებში ნიშნავს, რომ საკუთარი არსებობა სასამართლომ და მოსამართლეებმაც უნდა გაამართლონ. სტანდარტები, რომლებითაც მათი მუშაობა შეფასდება, არის სასამართლოს ხელმისაწვდომობა, სასამართლო პროცედურების სისწრაფე, სასამართლო პროცედურების ვადების შეზღუდვა, კლიენტების მიმართ თანასწორი მოპყრობა, პროცედურების სამართლიანობა და მოსამართლეების პატიოსნება, მიუკერძოებლობა და ანგარიშვალეულება.

სტრატეგიები, რომლებიც უზრუნველყოფენ მართლმსაჯულების ეფექტიანი ადმინისტრირების სტანდარტების დაცვას, მიმართულია (დროის) დაგეგმვის, მომხმარებლის (სუვერენიტეტის), (პირდაპირი და არაპირდაპირი) მოგების და (უნაკლო) პროდუქტის უზრუნველყოფაზე. საქმეთა ახლებური მართვა ნიშნავს, რომ თითოეულ სასამართლოში მოსამართლეები ქმნიან სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს, აკვირდება და აანალიზებს ყოველი ცალკეული საქმის წინსვლას.

ამ სისტემის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებია დავაში სასამართლოს ჩარევა რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე, ვადების დანესება საქმეთა განხილვისა და გადანყვეტისთვის, აუცილებლობის მიხედვით, სასამართლოს გადანყვეტილების კონცენტრაცია, მოსამართლეების ადმინისტრაციული სამოსამართლო სამუშაოებით გამონვეული ტვირთის შემცირება, ღია პროცესების შემოღება, სადაც მოსამართლე სასამართლოს გადანყვეტილების გამოცხადებამდე დეტალურად აუხსნის მხარეებს, თუ რა სახის გადანყვეტილების მიღებაა მოსალოდნელი და

---

<sup>15</sup> Brazil W D, Why Should Courts Offer Non-Binding ADR Services? Optimising Court-Annexed Mediation Programs, 1998, ABA Section of Dispute Resolution, Washington, DC.

ასევე სასამართლოსთან არსებული ADR-ის (მედიაცია, მორიგება, არბიტრაჟი, ადრეული ნეიტრალური შეფასება და ა.შ.) შესახებ.

ეს ნიშნავს, რომ მოსამართლის როლი იცვლება. მოსამართლე უფრო მეტს აკეთებს, ვირე უბრალოდ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებას; ის პრობლემის გადამწყვეტის როლს კისრულობს. ამგვარად ვითარდება თერაპიული მართლმსაჯულების მოდელი, რომელიც ორიენტირებულია სათანადო სასამართლო მომსახურების უზრუნველყოფასა და ყურადღებაზე, რომელსაც სასამართლო დაუთმობს ყოველ ცალკეულ საქმეს. ამის საზომი შეიძლება იყოს “ის ხარისხი, რომლითაც პროცესის მონაწილე მიიჩნევს, რომ სასამართლო გაერკვა მისი საქმის ხასიათში, რომ მან წარმოადგინა საკუთარი მოსაზრება საქმის შესახებ, რომ ის დაინტერესდა მისი გარემოებებით და გონივრულად გულისხმიერი იყო მისი მოთხოვნების მიმართ.”<sup>16</sup>

## როგორ უნდა შესთავაზოს სასამართლომ მედიაცია?

### მმართველობა და მაკიაველი

დავების სასამართლო წესით გადაწყვეტის კონცეფციის რეფორმა ნიშნავს ცვლილებების დანერგვას. „არაფერია მმართველობის ახალი მეთოდების დანერგვის დაგეგმვაზე უფრო ძნელი, წარმატების მიღწევაზე უფრო ნაკლებად სავარაუდო და მის მართვაზე უფრო საშიში...“<sup>17</sup> მართალია, მაკიაველის მთავარი (იტალ. *Il Principe*), ალბათ, ნაკლებად რელევანტურია დღეს იმ მეთოდების ანალიზისთვის, რომლებიც ამბიციურ პიროვნებას შესაძლებლობას აძლევს გახდეს სუვერენი, [თუმცა] ის რელევანტურია იმდენად, რამდენადაც განსაზღვრავს თანამედროვე მმართველობის ეფექტიანობისა და წარმატებისთვის მნიშვნელოვან გარემოებებს.

სასამართლოს მართვის ცვლილებების მიმართ წინააღმდეგობა, პირველ რიგში და ყველაზე მეტად, ეყრდნობა ტრადიციულ მიზეზებს. „ყველას, ვისაც ცვლილებები შემოაქვს, ეყოლება მტერი იმათ შორის, ვინც სარგებელს იღებდა ძველი მეთოდებისგან“.<sup>18</sup> ამგვარად, მაკიაველიმაც კი გაუზვა ხაზი არაანაზღაურებადი ხარჯების ცნებას.

ეს კონცეფცია გვაფრთხილებს, რომ უფრო ხნიერი, გამოცდილი პირები, რომლებმაც ენერჯია ან/და ფული ჩადეს არსებულ სისტემაში, ხშირად უარყოფენ ცვლილებებს და ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია ტრადიციული ორგანიზაციებისთვის.<sup>19</sup> და ხშირად, სასამართლო სწორედ ტრადიციული და იერარქიული შინაგანი ორგანიზაციის ციხე-სიმაგრედ გვევლინება. მმართველობის ცვლილების მიმართ ასეთი წინააღმდეგობის ერთ-ერთი შედეგი შეიძლება იყოს „status quo-ს ტირანია“<sup>20</sup>.

თუმცა, ცვლილების მიმართ წინააღმდეგობის წარმოშობა მხოლოდ სარგებლიანობასთან არ არის დაკავშირებული. მაკიაველი ამტკიცებდა, რომ ცვლილებებზე გულგრილი რეაქცია ნაწილობრივ განპირობებულია იმ ოპონენტების შიშით, რომელთა მხარესაც არის კანონი, ნაწილობრივ კი იმათი სკეპტიციზმით, ვინც არ ენდობა ახალ პროგრამებს, თუ, მათი გამოცდილებიდან გამომდინარე, მათ არ სჯერათ, რომ ისინი მტკიცედაა ჩამოყალიბებული. ფსიქოლოგიური ფაქტორები (გაურკვევლობა, რწმენის ნაკლებობა, სტრესი, დაბნეულობა, შიში, დეპრესია),

<sup>16</sup> Hanson R A, Resources, Service Delivery and Public Support for the Courts: Empowerment, Security and Opportunity through Law and Justice, 2001, Background Paper, World Bank Conference, St Petersburg, Russia p 10.

<sup>17</sup> Machiavelli [1513], 1992, *Il Principe*, Dover Publications, INC, New York.

<sup>18</sup> Machiavelli [1513], 1992, *Il Principe*, Dover Publications, INC, New York.

<sup>19</sup> Hart I M, *The Management of Change in Police Organizations: Policing in Central and Eastern Europe*, 1997, Ljubljana, p 213; Moss, Kanter R, *The Change Masters: Corporate Entrepreneurs at Work*, 1984, London, Rontledge, p 69.

<sup>20</sup> Gold A B, *Speedy Justice in Canada: Practical Solution for the Chief Justice, Manager of the Superior Court*, 1990, International Legal Practitioner.

ფსიქო-სოციალური ფაქტორები (ქცევის მართლზომიერება, გუნდური მუშაობა, დომინანტური ფასეულობები, ორგანიზაციული ფილოსოფია) და პირადი უარყოფის სტრატეგიები (ჩაკეტილი გონება,<sup>21</sup> უკან ყურება,<sup>22</sup> გამარტივება,<sup>23</sup> სიმბოლურობა,<sup>24</sup> სპეციალიზაცია<sup>25</sup>) ის ელემენტებია, რომლებიც განაპირობებს კომფორტის გრძნობას ნაცნობის მიმართ და უცნობის შიშს, რაც უნდა გაითვალისწინოს ყველამ, ვინც პასუხისმგებელია მმართველობის ცვლილებებზე.<sup>26</sup>

## სასამართლოს თავმჯდომარის როლი

სასამართლოში ახალი მიდგომების წარმატების პირობაა, რომ ისინი მიიღონ მოსამართლეებმა, როგორც საკუთარი და არა თავს მოხვეული. ამდენად, სასამართლოში სასამართლოს თავმჯდომარის ძირითადი ამოცანაა, ერთობლივი მმართველობის სისტემის ფარგლებში, ხელი შეუწყოს დისკუსიებს და არ დაუშვას, რომ მოსამართლეები სკეპტიკურად მიუდგნენ ამ რეფორმებს. დავების გადაწყვეტის მიმართ ახალი მიდგომის ჩამოყალიბების პირობები რთული არაა. ამ შემთხვევაში, სასამართლო სისტემაში ელექტორატის არარსებობა, როგორც შესავალში აღინიშნა, უპირატესობას წარმოადგენს.

მაგალითად, ეკონომიკური პოლიტიკის შეცვლის შემთხვევაში, როდესაც გასათვალისწინებელია შესაბამისი გარემოსდაცვითი სტანდარტები, ამოცანა გაცილებით უფრო რთული იქნებოდა, რამდენადაც ჩართული იქნებოდა ინტერესთა მრავალი ჯგუფი და მოხდებოდა პოლიტიკური ძალების ადვოკატირება, კონკრეტული გადაწყვეტის მისაღებად. საპირისპიროდ, სასამართლო სისტემაში ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მშვიდ გარემოში, გარედან და ზემოდან პოლიტიკური თუ სხვაგვარი ჩარევის გარეშე, თუმცა, ქვემოდან მიღებული იმპულსის საფუძველზე.

ყველაზე რთული ამოცანაა მოსამართლეების ნახალისება, რომ მათ დათმონ თავიანთი ტრადიციული, ინდივიდუალისტური პროფესიონალური ეთოსი და სამუშაო კულტურა, რომელიც, ერთი მხრივ, დომინირებს ინდივიდუალური ავტონომიის მაღალი ხარისხით და, მეორე მხრივ, სასამართლოს, როგორც ორგანიზაციის ფუნქციონირების მიმართ ინტერესის ნაკლებობით. მათი დამოუკიდებლობის კონსტიტუციური უზრუნველყოფის გამო, მოსამართლეებს არ გააჩნიათ გუნდური მუშაობის ბუნებრივი შეგრძნება, მრავალი სხვა ორგანიზაციისგან განსხვავებით, რომლებსაც სჭირდებათ შეთანხმება და თანამშრომლობა, თუ წარმატებით ფუნქციონირება სურთ. ეს ნიშნავს, რომ სასამართლოებს აღარ შეუძლიათ იყვნენ უბრალოდ ფორმალური ინსტიტუტები, ისინი უნდა გახდნენ ორგანიზაციები, *per se*.<sup>27</sup>

ამდენად, მნიშვნელოვანია მენტალიტეტის შეცვლა სასამართლოში, რასაც ხელი უნდა შეუწყონ სასამართლოს თავმჯდომარეებმა, იმისათვის, რომ სასამართლომ, როგორც ერთიანმა, შეძლოს საზოგადოების ცვლილებებთან შეგუება, მათი განხორციელებისას. სათანადო სა-

<sup>21</sup> ჩაკეტილი გონების პოზიციის შემთხვევაში, პიროვნება უარყოფს ნებისმიერ არგუმენტს, რომელიც დაკავშირებულია ცვლილების საგანთან.

<sup>22</sup> პირი, რომელიც ამ მეთოდს იყენებს, ეყრდნობა ადრე მიღებულ გამოცდილებას, გუშინდელი გადაწყვეტების დღევანდელ პრობლემებზე მორგების გზით.

<sup>23</sup> ეს მეთოდი ამცირებს პრობლემის სირთულეს და დაჰყავს ის მარტივ და უსაფრთხო ცვლილებამდე, რომელიც არ ემუქრება არავის, მაგრამ ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერი ცვლილება არაარსებითია.

<sup>24</sup> ამ მეთოდის შედეგია ის, რომ პიროვნება, რომელიც აშკარად თანახმაა ცვლილებაზე, არაფერს აკეთებს მისი განხორციელებისთვის.

<sup>25</sup> კონცენტრირება ვიწრო სფეროზე, ყველა სხვა ინფორმაციის და საკითხების გამორიცხვით.

<sup>26</sup> Hart I M, *The Management of Change in Police Organizations: Policing in Central and Eastern Europe*, 1997, Ljubljana.

<sup>27</sup> Langbroek P M, *Changing the Judiciary and Judicial Administration: The Netherlands and Guatemala, Empowerment, Security and Opportunity through Law and Justice*, 2001, Background Paper, World Bank Conference, St Petersburg, Russia pp 34-35.

სამართლოს შექმნა გრძელვადიანი გამონევეაა, რომელიც მოითხოვს ზრდის, განვითარების, ცვლილებებისა და ახალ პირობებთან ადაპტაციის უნარს. ამგვარად, სასამართლო სისტემაში რეფორმა დაუსრულებელი პროცესია, რამდენადაც სოციალური პრობლემების ხასიათი მუდმივად იცვლება.

ამდენად, სასამართლოსთან არსებული მედიაციის პროგრამის მომზადება უნდა ეფუძნებოდეს დაშვებას, რომ ცვლილებების წარმატება თუ წარუმატებლობა უფრო ნაკლებადაა დამოკიდებული რეფორმის ხელშემწყობ თუ ხელისშემსლელ მიზეზებზე და მეტად – იმაზე, თუ როგორ დაინერგება და იმართება ასეთი ცვლილებები.

სლოვენის გამოცდილება აჩვენებს, რომ რეფორმის ინიციატივებს შეიძლება პოზიტიური რეაგირება მოჰყვეს, თუ მათ ჩათვლიან შესაძლებლობად და არა საფრთხედ და რომ საზოგადოების თვალში რეფორმის ინიციატივების მიმართ წინააღმდეგობა შეიძლება გამოჩნდეს, ასევე, როგორც წინააღმდეგობა სასამართლოების ფუნქციონირებაზე გარკვეული პასუხისმგებლობის აღების მიმართ.

### **სასამართლოსთან არსებული მედიაციის დაგეგმვა სამოქალაქო სამართალწარმოებაში, ლიუბლიანის რაიონულ სასამართლოში**

დაგეგმვა, მიზნების დასახვა და მათი განხორციელებისთვის სახსრების განსაზღვრა მმართველობის ძირითად ელემენტს წარმოადგენს. ის დასახავს პრიორიტეტებს, განსაზღვრავს პიროვნებებისა და დანებსებულებების მოვალეობებს და უზრუნველყოფს კრიტერიუმებისა და მიზნების მიღწევის საშუალებებისა და მეთოდების ჰარმონიზაციას. სასამართლოსთან არსებული მედიაციის დაგეგმვა ლიუბლიანის რაიონულ სასამართლოში, ორიენტირებული იყო კოალიციების ფორმირებასა და ანალიზის, პრინციპების გამომუშავებაზე, რომლებიც გამოიყენებოდა განხორციელებისას.

### **კოალიციების შექმნა**

#### **მართვის კოალიცია**

პირველ რიგში, აუცილებელი იყო მართვის კოალიციის შექმნა. მედიაციის დანერგვის იდეა ისეთი ინოვაცია იყო, რომლის განხორციელებაც შესაძლებელი იყო მხოლოდ ერთობლივი მართვის პოლიტიკის ფარგლებში, რაც არსებითია, როდესაც პრობლემა ან ცვლილება მნიშვნელოვან კითხვებს ბადებს მრავალი თანამშრომლის სამუშაოს ან პოზიციის თაობაზე, როდესაც ამ საკითხების გადაწყვეტისთვის აუცილებელია ამ პირების მონაწილეობა, როდესაც არსებობს განხეთქილების და კონფლიქტის წარმოშობის შესაძლებლობა და როდესაც ადამიანური, ფინანსური თუ სხვა რესურსები შეზღუდულია. აქ მნიშვნელოვანია, რომ ერთობლივი მართვა იყოს არა გავლენის, ძალდატანების ან ჩვევის შედეგი, არამედ დაგეგმილი მოქმედება.

სასამართლოში ცვლილებების სუბიექტები განსაზღვრა სასამართლოს თავმჯდომარემ. პროცესი ეფუძნებოდა პასუხებს ორ შეკითხვაზე: ვის შეუძლია გავლენის მოხდენა ცვლილებების პროცესზე და როგორ შეიძლება აღნიშნულის განხორციელება? პირველი საკითხი მიზნად ისახავდა დაედგინა, თუ ვისი აქტიური მხარდაჭერა და ვისი პასიური თანხმობა იყო საჭირო, ვის შეეხებოდა ცვლილებები და როგორ? მეორე შეკითხვის მიზანი იყო დაედგინა, ძალაუფლების რა წყაროს აკონტროლებდნენ ეს ადამიანები, როგორი იყო მათი დამოკიდებულება რეფორმის ინიციატივის მიმართ და რა კავშირი არსებობდა ამ ადამიანებს შორის.

ოთხი მთავარი პირი, რომლებიც გაერთიანდნენ მართვის კოალიციაში, იყვნენ სასამართლოს თავმჯდომარე, სამოქალაქო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე და სამოქალაქო დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი, რომელიც დანიშნაურდა სააპელაციო სასა-

მართლოს მოსამართლის თანამდებობაზე. სამოქალაქო დეპარტამენტის ხელმძღვანელის მონაწილეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რამდენადაც ეს უზრუნველყოფდა მართვის უწყვეტობას და, შესაბამისად, პროგრამის ეფექტიანობას უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში და, ამავე დროს, უზრუნველყოფდა პირდაპირ კომუნიკაციასა და პროგრამის ხელშეწყობას სააპელაციო სასამართლოში.

მოსამართლეების შერჩევა ჯგუფის ფორმირებისას, რომელსაც დაევალება ცვლილებების და გაუმჯობესებების ინიცირება, უალრესად მნიშვნელოვანია. ჯგუფი უნდა შედგებოდეს საკმარისად გამოცდილი ადამიანებისგან, თუმცა, საჭიროა ყურადღება იმის უზრუნველსაყოფად, რომ ასეთი გამოცდილება არ გამოიყენება იმგვარად, რომ დღევანდელ პრობლემებზე გუშინდელი გადაწყვეტა შემოგვთავაზოს. მართვის გუნდი უნდა იყოს გონებაგახსნილი და უნდა მოქმედებდეს დრაკერის ფორმულის შესაბამისად: „ჯერ შენი თავი მართე და მერე – შენი საზოგადოება.“ ჯგუფი ასევე უნდა იზიარებდეს ხედვას პროგრამის ფორმულირების თაობაზე და უნდა შეეძლოს ამ ხედვის გადაცემა იმ პირებისთვის, რომლებსაც უკავშირდება ეს პროგრამა (მოსამართლეები, სასამართლოს პერსონალი, ადვოკატები, პოლიტიკოსები და ფართო საზოგადოება).

## შიდა კოალიცია

მართვის კოალიციის ფორმირებას მოჰყვა მეორე ეტაპი, რაც მოიცავდა შიდა გაერთიანების დაცვის უზრუნველყოფას. სასამართლოს სამოქალაქო დეპარტამენტში გაიმართა დისკუსია მოსამართლეებსა და პროფესიონალ თანამშრომლებს შორის, მორიგების, როგორც სამოქალაქო სამართალწარმოების ნაწილის მეშვეობით დავების გადაწყვეტის შესაძლო ხელშემწყობი მიდგომების თაობაზე. დისკუსია მიმდინარეობდა სხვადასხვა მიმართულებით და გამოიყენეს სხვადასხვა ტაქტიკა მედიაციის პროგრამის მომზადებასა და განხორციელებაში თანამშრომლობის ხელშეწყობისთვის, როგორებიცაა:

- კომუნიკაცია, „იდეის გაყიდვის“ მეშვეობით
- პრეზენტაციები იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება დაეხმაროს ახალი მიდგომა მხარეებს, სასამართლოსა და მოსამართლეებს
- სასწავლო სემინარები, თანამშრომლების ახალ პროგრამასთან ადაპტაციის მიზნით
- მოლაპარაკებები და მოქნილობა, პროგრამის მოკლევადიან დაგეგმვაში
- პოტენციური და რეალური სკეპტიკოსებისა და ახალი იდეის ოპონენტების ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში
- სხვა მოსამართლეების მესამე მხარის სახით გამოყენება, წინააღმდეგობის განეიტრალებისთვის.

კომუნიკაციის ქსელმა შესაძლებელი გახდა მედიაციის და მისი უპირატესობების მიმღებლობა და, როგორც აღმოჩნდა, პროგრამაში მონაწილეობით უფრო მეტი მოსამართლე დაინტერესდა, ვიდრე დაგეგმილი იყო. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მოსამართლეების მხრიდან მედიაციის მხარდაჭერის ძირითადი მიზეზი იყო პროცედურებისა და გადაწყვეტილებების გამჭვირვალობა და მუდმივი დიალოგი ჩართულ ყველა მხარესთან.

## სასამართლო პოლიტიკის დოკუმენტი

სლოვენის შემთხვევაში, შეფერხდა კოალიციის შექმნის მესამე ეტაპი. გამოცდილება აჩვენებს, რომ საჯარო განცხადება სასამართლო პოლიტიკასთან დაკავშირებით, სასამართლო სისტემის უმაღლესი პირებისგან, იმ სფეროში, რომელშიც ხორციელდება რეფორმა, შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობის იყოს მისი წარმატებისთვის. ასეთი განცხადება უნდა წარმოადგენდეს რეკომენდაციას მხარეებისა და ადვოკატებისთვის, გამოიყენონ მედიაცია და მხარი და-



უჭირონ სასამართლოს მიერ შემოთავაზებულ პროგრამას. ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია სასამართლო პოლიტიკის დოკუმენტი, რამდენადაც სასამართლოებს შეუძლიათ მასზე დაყრდნობა, ახალი პროგრამების შემუშავების, ამ პროგრამებისთვის საბიუჯეტო სახსრების მიღებისა და მედიატორების ლიცენზირებისთვის პირობების განსაზღვრის დროს.

ADR სფეროში პოლიტიკის დოკუმენტი შეიძლება ითვალისწინებდეს შემდეგს:

- თანაბარი მოპყრობა ADR-ისა და სასამართლო პროცესისთვის
- ADR-ის ხელშეწყობა, განცხადების ფართო საზოგადოებისკენ მიმართვის გზით
- ADR, როგორც დროის სტანდარტების ლოგიკური ელემენტი, დავების მოგვარებისთვის, რაც, უზრუნველყოფს, სახელდობრ, ადვოკატების მხარდაჭერას
- მრავალი ალტერნატივის პოლიტიკის მხარდაჭერა დავის მხარეთათვის (მედიაცია, არბიტრაჟი, ადრეული ნეიტრალური შეფასება, სამოქალაქო პროცესი) და ამგვარად სამართლებრივ დაცვაზე უფრო ფართო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა
- უფასო ან უფრო იაფი პროცედურები მხარეებისთვის, სასამართლო პროცესთან შედარებით
- საქმისწარმოების უფრო მცირე ხარჯები სასამართლოებისთვის, საქმის გადაწყვეტისთვის უფრო ნაკლები დროის საჭიროების გამო, რაც უზრუნველყოფს ასეთი პროგრამების დაფინანსების მხარდაჭერას
- ADR პროგრამების ავტორიზაცია სასამართლოების მიერ, რაც შესაძლებელს ხდის დაწესდეს სტანდარტები მომსახურების ხარისხისთვის, პროგრამების მონიტორინგსა და შეფასებას და მათი მორგებას მონაწილე მხარეების მოლოდინებზე.

თავდაპირველად, უზენაესი სასამართლოს, სასამართლოს საბჭოსა და იუსტიციის მინისტრის – სასამართლო პოლიტიკის ძირითადი მოქმედი პირების მხრიდან საჯარო განცხადების არარსებობა, რომელიც რეკომენდაციას გაუწევდა დავების მეგობრულად გადაწყვეტას მედიაციის მეშვეობით, დაკავშირებული იყო მედიაციის უპირატესობების შესახებ მწირი ინფორმაციის მიწოდებასა და იმ ფაქტთან, რომ ეს სლოვენიაში სასამართლოსთან არსებული ADR-ის პირველი ექსპერიმენტული პროგრამა იყო.<sup>28</sup> თუმცა, ამ სფეროში სასამართლო პოლიტიკის თაობაზე საჯარო განცხადების არარსებობა შეერთებული შტატების, გაერთიანებული სამეფოსა და ნიდერლანდების ანალოგიური პროგრამებისგან განსხვავებით, განპირობებული იყო ასევე იმ ფაქტითაც, რომ აღნიშნულ ქვეყნებში ეს იყო ზემოდან ქვემოთ მიმართული პროგრამების ნაწილი, მაშინ, როცა სლოვენიაში ეს პროგრამა ქვემოთ ზემოთ განხორციელდა.

## გარეშე კოალიციები

მედიაციის როლის შესახებ სასამართლო პოლიტიკის სფეროში მთავარი ფიგურების მიერ საჯარო განცხადების არარსებობა ნიშნავდა, რომ გარეშე გაერთიანებების შექმნის პროცესი გაცილებით უფრო გაურკვეველი იყო სლოვენის შემთხვევაში, ასევე უფრო რთული იყო შესაბამის სოციალურ ჯგუფებთან კომუნიკაცია. უპირველეს ყოვლისა, ADR-ის აუცილებლობას გაცილებით უფრო მეტი განმარტება სჭირდებოდა, ვიდრე იმას, თუ როგორ უნდა მომხდარიყო ამ მომსახურების მიწოდება.

ამიტომ, სასამართლომ უზრუნველყო ინტენსიური კომუნიკაცია ფართო საზოგადოებასთან, პრეს-კონფერენციების, მრავალი მაგიდებისა და პრეს-რელიზების მეშვეობით, ასევე სპეციალური ბროშურების გამოცემით, რომლებშიც მოცემული იყო ინფორმაცია მედიაციის შესა-

---

<sup>28</sup> ამ შეფასებას ადასტურებს ის ფაქტი, რომ აღნიშნულმა სამივე ინსტიტუციამ საჯაროდ დაუჭირა მხარი მედიაციის პროგრამას და ურჩია ის სასამართლოსა და მოდავე მხარეებს, ლიუბლიანას რაიონულ სასამართლოში პროგრამის მუშაობის პირველი წლის ანალიზის გამოქვეყნებისთანავე.

ხებ, კონფერენციების და სემინარების მოწყობით და პროფესიულ ჟურნალებში სტატიებისა და დისკუსიების გამოქვეყნებით.

საჭირო იყო ალიანსების შექმნა იმ დაწესებულებებთან, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ მედიაციის პროცესში: გენერალური პროკურორის ოფისთან, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს სამოქალაქო დავებში, მსხვილ სადაზღვევო კომპანიებთან, რომლებიც ყველაზე ხშირად არიან სამოქალაქო დავების მონაწილეები და, უპირველეს ყოვლისა, ადვოკატთა პალატასთან (ადვოკატთა ასოციაციასთან).

ადვოკატთა პალატის მხარდაჭერის მიღებას განაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პროგრამისთვის, რამდენადაც ადვოკატები მხარს არ დაუჭერდნენ ისეთ პროგრამას, რომელიც, მათი აზრით, შეამცირებდა მათ შემოსავალს.<sup>29</sup>

რეპრესიული ტოლერანტობის – თუ ვერ დაამარცხებ, შეუერთდი – პრინციპის მიხედვით, სასამართლომ, მაგალითად, მხარი დაუჭირა ადვოკატების წინადადებას, მათი მომსახურების საფასურის გაზრდის შესახებ, იმ შემთხვევებში, როდესაც იღება სასამართლო მორიგება, რომელიც მედიაციის პროცესის საბოლოო მიზანს წარმოადგენს. ასევე მნიშვნელოვანი იყო ადვოკატების მოწვევა მედიატორების უფასო ტრენინგის პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად, რაც, სასამართლოსთვის, გარკვეული სახით, „ტროას ცხენის“ დანიშნულებას ასრულებდა. ადვოკატების მედიატორებად ჩართვა სასამართლოს პროგრამაში ნიშნავდა მედიაციის, როგორც ფულის გამომუშავების შესაძლებლობისა და როგორც მათს პროფესიაში ახალი გამოწვევის ხელშეწყობას. მოსამართლეებისა და ადვოკატების ერთად მუშაობა მედიატორებად, დავების გადაწყვეტის სფეროში საჯარო და კერძო სექტორების ერთმანეთთან დაკავშირების ეფექტური მოდელია.

## სიტუაციის ანალიზი, პრობლემები და მიზნები

დაგეგმვა შეიძლება წარმატებული იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის სასამართლოს პრობლემების და მოთხოვნილებების საიმედო შეფასებას ეყრდნობა. სასამართლოებმა შეიძლება შეადგინონ ADR პროგრამები შემდეგი მიზეზების გამო:

- საქმეებით გადატვირთვა
- სასამართლო პროცესისა და მორიგებისთვის მომზადების ეფექტიანობისა და ხარისხის გაუმჯობესება
- დავების გადასაწყვეტად მხარეებისთვის შეთავაზებული მეთოდების განვრცობა უნდა ჩამოყალიბდეს პროგრამის შინაარსი და მისი განხორციელების მეთოდი, განისაზღვროს პრიორიტეტები და კრიტერიუმები პროგრამაზე მეთვალყურეობისა და მისი შეფასებისთვის, რომელიც დაწესდება განსაზღვრული მიზნის გათვალისწინებით.<sup>30</sup> სასამართლოს საჭიროებების დადგენა უნდა ეყრდნობოდეს სიტუაციის ანალიზს, რომელსაც ჩაატარებს სასამართლო სამი მეთოდის გამოყენებით:

- (1) სტატისტიკური მონაცემების შეგროვება
- (2) სასამართლოში გაფორმებული მორიგებების ფუნქციონალური ანალიზი
- (3) ADR-ის შედარებით-სამართლებრივი ანალიზის ჩატარება.

### (1) სტატისტიკური ანგარიშები

არსებული ჩანაწერების საფუძველზე, ლიუბლიანას რაიონულმა სასამართლომ შეაფასა სასამართლოს მუშაობის სტატისტიკური მონაცემები, შეფასების თანამედროვე მეთოდების გა-

<sup>29</sup> International Association of Judges, First Study Commission, Final Conclusions (1998), Porto.

<sup>30</sup> Judge's Deskbook on Court ADR, 1993.

მოყენებით. სასამართლომ გამოთვალა სამოქალაქო საქმეთა, გადაუწყვეტელ საქმეთა და დაგროვებულ საქმეთა მაჩვენებლები იმის დასადგენად, თუ რამდენად კარგად აკონტროლებს ის ახალი საქმეების შემოსვლას, რა დრო სჭირდება მას საშუალო საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად, რამდენად ჩამორჩება ის სასამართლოს წესებით და შიდა აქტით დადგენილ ვადებს. გათვლებმა აჩვენა, რომ 2001 წლამდე, სასამართლოს საშუალოდ 21 თვე სჭირდებოდა საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად, მიუხედავად იმისა, რომ ეს მაჩვენებელი მოიცავს საოჯახო დავებსაც, რომლებზეც სასამართლო გაცილებით უფრო სწრაფად იღებს გადაწყვეტილებას.

## (2) ფუნქციონალური ანალიზი

სასამართლომ ასევე ჩაატარა 1995-1999 წლებში გაფორმებული სასამართლო მორიგებების ფუნქციონალური ანალიზი. ანალიზმა აჩვენა, რომ სასამართლო მორიგებების 80%, სამოქალაქო პროცესის ფარგლებში, გაფორმდა პირველი სასამართლო სხდომის დასასრულს. ეს მაჩვენებელი ძალზე მნიშვნელოვანი იყო, რამდენადაც მან დაადასტურა მოსაზრება, რომ პროგრამა გაცილებით უფრო წარმატებული იქნება, თუ ის კონცენტრირდება ახალ საქმეებსა და, შესაბამისად, საქმის ადრეულ სტადიაზე. ამავე დროს, ამ ნაწილში ანალიზი ეფექტურად დაუპირისპირდა ადვოკატების წინადადებას, მიემართათ მედიაციის პროგრამა მხოლოდ ძალიან ძველი საქმეებისკენ.<sup>31</sup>

იმის გამო, რომ ადვოკატების განცხადებით, ისინი ძალზე რეალისტურად უდგებოდნენ მოთხოვნებს და შესაბამისად, იმის გასარკვევად, თუ რამდენად საჭიროა დამატებითი ხელშეწყობა დავის შეთანხმებით მოსაგვარებლად, გაანალიზდა, რამდენად წარმატებით დამთავრდა საქმე მომჩივანებისთვის. ამ ანალიზმა აჩვენა, რომ წარმატების მაჩვენებელი ძალზე დაბალი იყო; მომჩივანების მოთხოვნები წარმატებით სრულად დაკმაყოფილდა მხოლოდ საქმეთა 19%-ში.

## (3) ADR-ის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი

სასამართლოს ინიციატივით, ეროვნული მიზნობრივი კვლევითი პროექტის „2010 წლამდე სლოვენის რესპუბლიკის სამართლებრივი განვითარების სტრატეგიის“ პროგრამის საბჭომ ლიუბლიანის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაატარა ADR-ის ორი შედარებით-სამართლებრივი ანალიზი. ეს ორი ანალიზი ძირითად დოკუმენტს წარმოადგენდა, რამდენადაც, ისინი, სხვა საკითხებთან ერთად, შეეხო სასამართლოსთან არსებული მედიაციის დანერგვის საკანონმდებლო ბაზას.

სლოვენიაში არ არსებობს მედიაციის ტრადიცია. ამ მომსახურების მიმწოდებლები თავისუფალ ბაზარზე თითქმის არ არსებობდნენ, და ნამდვილად არ არსებობდა რაიმე ცალსახა მარეგულირებელი ჩარჩო, რომელიც საფუძვლად დაედებოდა ამ პროცედურებს. ამგვარად, მედიაციის არ რეგულირებოდა არც კანონით და არც რაიმე რეგულაციებით და ამდენად, სასამართლოს ექსპერიმენტული პროგრამა წარმოადგენდა არა სახელმწიფო პოლიტიკის, არამედ სასამართლოს აქტიურობის შედეგს. და რამდენადაც ეს სფერო სამართლებრივად არ რეგულირდებოდა, სასამართლოს, პირველ რიგში, უნდა გადაეწყვიტა მედიაციის დანერგვის სამართლებრივი დასაშვებობის საკითხი.

იურიდიული ფაკულტეტის ექსპერტები დაეთანხმნენ სასამართლოს ინტერპრეტაციას, რომ საპროცესო კანონმდებლობის თვალსაზრისით, მედიაციის შეთავაზების საკმარის საფუძ-

---

<sup>31</sup> მიუხედავად ამისა, სასამართლომ ეს წინადადებაც მიიღო ადვოკატებისგან და შემოიღო სპეციალური „მორიგების კვირეული“, როდესაც მოსამართლეები ატარებდნენ მხოლოდ ძველი საქმეების მოსარიგებელ სხდომებს.

ველს ქმნის სამოქალაქო საპროცესო კანონის 307-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოს მოვალეობას, ხელი შეუწყოს მხარეთა შორის მორიგებას, სასამართლო პროცესის მთელი მიმდინარეობის განმავლობაში.<sup>32</sup>

არსებითი საკანონმდებლო ბაზა სასამართლოსთან არსებული მედიაციის პროგრამის შემოღებისთვის, მოცემულია სასამართლოების შესახებ აქტის 62-ე და სასამართლოს წესების 171-ე მუხლში, როგორც შესასრულებელი რეგულაცია.<sup>33</sup> ორივე მათგანი ავალდებულებს სასამართლოს მიიღოს პროგრამა საქმეების გაჭიანურების საწინააღმდეგოდ, როდესაც სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, რომ საქმე გასულ 12 თვეზე მეტ ხანსაა წარმოებაში. ფორმალურად, ამ პროგრამას იღებს სასამართლოს თავმჯდომარე. ამდენად, მედიაცია დაინერგა, როგორც სპეციალური პროგრამა, ლიუბლიანას რაიონულ სასამართლოში საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ.<sup>34</sup>

## ნაკლები ჩართულობის უპირატესობები

სასამართლომ ორგვარად ისარგებლა ADR-ის სფეროში არასაკმარისი ჩართულობით. მედიაციის მეშვეობით საქმის გაჭიანურების [პრობლემის] გადაწყვეტის პროგრამაში მან განსაზღვრა, რომ მედიაცია უნდა იყოს ექსპერიმენტული საპილოტე პროექტი, რომელიც განხორციელდებოდა ორი წლის განმავლობაში. ამ მიდგომამ შესაძლებელი გახადა პროგრამის შესწორება, შეწყვეტა, დადასტურება ან განვრცობა, ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზის საფუძველზე. ექსპერიმენტული პროგრამის შემოღებით, სასამართლო არ იძლეოდა წარმატების გარანტიას მიზნების მიღწევის თვალსაზრისით და ამით უფრო მოქნილი მოქმედების შესაძლებლობას იღებდა, რამდენადაც პროგრამა ხორციელდებოდა „სასწავლო დაწესებულების“ ფარგლებში.

ADR-ში ნაკლები ჩართულობის კიდევ ერთი უპირატესობა იყო ის, რომ სასამართლოს თავად შეეძლო განესაზღვრა მედიაციის პროცედურის პრინციპები და წესები და მედიატორების შერჩევის, დანიშვნის, გათავისუფლების, მომზადებისა და შეფასების სტანდარტები. წესების ავტონომიურად განსაზღვრის პირობები არ გართულებულა, რამდენადაც არ არსებობდა შეზღუდვები ინტერესების ჯგუფების ჩართვასთან დაკავშირებით, რომლებიც ადვოკატირებას გაუნეგდნენ კონკრეტულ გადაწყვეტას და ასევე იმის გამოც, რომ არ არსებობდა გარეშე თუ ზემდგომი ორგანოების პოლიტიკური თუ სხვა ზეგავლენა. ამ თვალსაზრისით, „ზემოდან ზემოთ“ მიმართულ პოლიტიკას ჰქონდა უპირატესობა, „ზემოდან ქვემოთ“ მიმართულ პოლიტიკასთან შედარებით.

სამართლებრივი რეგულირების ავტონომიისა და ექსპერიმენტის კიდევ ერთი უპირატესობა გამოჩნდა პროგრამის მუშაობის დაწყებიდან ერთ წელიწადში, როდესაც მთავრობამ პარლამენტს შესთავაზა სამოქალაქო საპროცესო კანონით მიეცათ სასამართლოსთვის უფლებამოსილება, შეენყვიტა პროცესი მხარეთა მოთხოვნით, რათა მათ მიემართათ ADR-ისთვის.<sup>35</sup> სასამართლებრივი რეგულირების ეს მეთოდი, რომელსაც ექსპერიმენტი უძღვის წინ, უზრუნველყოფს კანონმდებელთა მხრიდან მხარდაჭერის მეტ ალბათობას, რამდენადაც დეპუტატები და ინტერესებული არიან არა მხოლოდ პოლიტიკის შემუშავებით, არამედ იმის განხორციელებითაც, რაც მათ მიიღეს. და პარლამენტიც უფრო ადვილად შეძლებს პოლიტიკის განხორციელებას.

<sup>32</sup> სამოქალაქო საპროცესო აქტი Ur I RS No 26/99, შესწორებებით.

<sup>33</sup> სასამართლოთა აქტი Ur I RS No 19/94, შესწორებებით; სასამართლოს წესები Ur I RS No 17/95, შესწორებებით.

<sup>34</sup> ლიუბლიანის რაიონულ სასამართლოში საქმეების გაჭიანურების საკითხის მოგვარების სპეციალური პროგრამა. 2000 წ. 11 დეკემბერი (Su 9/2000), შესწორებებით.

<sup>35</sup> მუხლი 305b/V, სამოქალაქო საპროცესო აქტი Ur I RS No 110/2002.

ბის ალბათობის განსაზღვრას, ექსპერიმენტული პროგრამების წარმატების შესახებ ინფორმაციის გამოყენებით.

## ნაკლები ჩართულობის რისკი

ADR-ში ნაკლებ ჩართულობას ახლავს გარკვეული რისკიც. კონფიდენციალობის პრინციპი, როგორც მედიაციის ფუნდამენტური პრინციპი განსაკუთრებით რელევანტურია სასამართლო პროცედურის თვალსაზრისით. მხარეები ნაკლებად მოისურვებენ მედიაციაში მონაწილეობის მიღებას, იმ შემთხვევაში, თუ მედიაციის დროს მათი გახსნილობა ბუმერანგივით დაუბრუნდებათ უკან სამოქალაქო პროცესში. ყველაფერი, რაც გამოითქვა ან წარდგენილ იქნა წერილობით, მედიაციის დროს (მხარეთა შეხვედრები და წინადადებები, ფაქტების აღიარება, მესამე მხარის წინადადებები, მორიგების სურვილი და ა.შ.) კონფიდენციალური უნდა დარჩეს სასამართლო პროცესში.<sup>36</sup>

არანაირად უნდა იქნას დაშვებული წარუმატებელი მედიაციის გავლენა მხარეთა სამართლებრივ პოზიციაზე, რომელიც მათ ჰქონათ ამ პროცესის დაწყებამდე. დასაშვებია მტკიცებულების სტანდარტი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ის გათვალისწინებული უნდა იყოს საპროცესო წესებში იმგვარად, რომ კრძალავდეს ინფორმაციის გაცემას და თუ ინფორმაცია გამჟღავნდება, ნებისმიერი მტკიცებულება, რომელიც შეეხება ადრეულ განცხადებას, დოკუმენტს ან ინფორმაციას, უნდა იყოს დაუშვებელი.

ლიუბლიანას რაიონულმა სასამართლომ დაძლია ეს ნაკლოვანება იმით, რომ მხარეებს, რომლებიც სთანხმდებოდნენ მედიაციის შეთავაზებას, ხელს აწერიებდა განცხადებაზე, კონფიდენციალობის პრინციპის დაცვისა და დასაშვებ მტკიცებულებებთან დაკავშირებული წესების პატივისცემის შესახებ. თუმცა, შეკითხვად რჩება, თუ როგორ გაითვალისწინებს სასამართლო კონფიდენციალობის პრინციპს, იმ შემთხვევაში, თუ დავა შეეხება აღნიშნული პრინციპის ან დასაშვებ მტკიცებულებების შესახებ წესების დარღვევას. საკითხავია, საკმარისია თუ არა იმ ფაქტზე დაყრდნობა, რომ მედიაციის ყველა დოკუმენტი (მხარეთა თანხმობა დავაზე, კონფიდენციალობის პრინციპის, სხვა პრინციპების და პროცედურული წესების დაცვის შესახებ დეკლარაცია) დატკიცებულია სასამართლოს მიერ და ამდენად, სავალდებულოა მისთვის.

ADR-ის სფეროში ნაკლები ჩართულობიდან გამომდინარე არსებობს ასევე გარკვეული რისკი მედიატორების ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით. მართალია, სასამართლოს შეუძლია დაანესოს ძირითადი ეთიკური პრინციპები, რომლითაც შებოჭილნი არიან მედიატორები, თუმცა მას არ შეუძლია მისცეს მათ ის იმუნიტეტი, რომელსაც უზრუნველყოფს მოსამართლეებისთვის. ლიუბლიანის რაიონულმა სასამართლომ ეს პრობლემა შეამსუბუქა იმით, რომ მედიაციის ფარგლებში მიღწეული ყველა შეთანხმებული გადაწყვეტილება გაფორმდა, როგორც სასამართლო მორიგების პროექტი მედიატორის წინაშე, შემდეგ კი მხარეები ამ დოკუმენტის საბოლოო ვერსიას ხელს აწერენ მოსამართლის წინაშე – საბოლოო ტექსტი ექვემდებარება მოსამართლის მიერ შემოწმებას, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ის შეესაბამება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობას.

მიუხედავად ამისა, მაინც არსებობს შესაძლებლობა, რომ მედიაციის დროს, მხარეები შეთანხმდებიან რაიმე ისეთზე, რასაც ვერ ცნობს სასამართლო, ან მიაღწევენ დაკმაყოფილებას სასამართლოს გარეთ მორიგებით, რომლის სამართლებრივი ეფექტები გათანაბრებული იქნება ხელშეკრულებასთან და არა სასამართლოს მავალდებულებელ გადაწყვეტილებასთან. რამდენადაც მედიაცია ორგანიზებულია, როგორც სასამართლოსთან არსებული პროცესი, მაინც ღიად რჩება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი მხარეთათვის მიყენებული ზარალისთვის,

<sup>36</sup> იხ. UNCITRAL მოდელური კანონი საერთაშორისო კომერციული მორიგების შესახებ.

რომელიც გამოწვეულია მედიატორის განზრახვი ქმედებით ან უხეში დაუდევრობით.<sup>37</sup> ამ საკითხის გადასაჭრელად, გონივრული იქნებოდა, როგორც მინიმუმ, პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმება მედიატორსა და სადაზღვევო კომპანიას შორის.

## **ინგლისურიდან თარგმნეს:**

### **ნათია ჩიტაშვილმა**

*სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტის წევრი, საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი, მედიატორი, კოლექტიური შრომითი დავის მედიატორი, მედიატორთა ტრენერ-შემფასებელი, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი.*

### **ნანა უზნაძემ**

*სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მედიატორთა ერთიანი რეესტრის წევრობის სერტიფიცირებული კანდიდატი, სტაჟიორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის სტაჟიორი.*

---

<sup>37</sup> ევროპის საბჭოს ევროპულ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) # 3 მოსაზრების (2002) მიხედვით, მოსამართლის პროფესიული ქცევის მარეგულირებელი პრინციპებისა და წესების შესახებ, სახელდობრ, ეთიკის, შეუთავსებლობისა და მიუკერძოებლობის თვალსაზრისით, არასწორ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის საკითხი, უხეში დაუდევრობის შემთხვევაში, სრულად ნათელი არაა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ასეთი დარღვევა ჩადენილია მოსამართლის მიერ.

## სასამართლო ცვლილებების მართვა მედიაციის მეშვეობით (ნაწილი 2)\*\*

### მედიაციის პროგრამის განხორციელებისას გამოყენებული პრინციპები

#### მომხმარებლის სუვერენობის პრინციპი

მედიაცია, ლიუბლიანას რაიონულ სასამართლოში გამომდინარეობს ე.წ. „კლიენტის მიდგომიდან“, მომხმარებლის სუვერენობის პრინციპის საფუძველზე. სასამართლო პროცესის მხარეთა მონაწილეობა მედიაციაში ნებაყოფლობითია. სასამართლო სთავაზობს მედიაციას ყველას, ვისაც შეაქვს სარჩელი, ან ვის წინაღობა შეაქვთ სარჩელი. რამდენადაც ეს სფერო დეტალურად არ რეგულირდება კანონით, სასამართლოს არ შეუძლია უბრძანოს მხარეებს, მიმართონ მედიაციას, უარის თქმის შესაძლებლობით, ან დააკისროს რაიმე (ხარჯი) სანქცია მხარეს იმის გამო, რომ მან არ მიიღო სასამართლოს წინადადება.<sup>1</sup> მხარეთა სამართლებრივი მდგომარეობა, ასევე არ დაზარალდება, თუ ისინი აირჩიევენ მედიაციას და შემდგომში შეიცვლიან აზრს, ან თუ მედიაცია წარუმატებელი იქნება. ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლო უზრუნველყოფს თანმიმდევრობას, რომლის შესაბამისადაც მოუსმენენ მათს საქმეს, რაც განისაზღვრება სარჩელის შეტანის თარიღით.

როდესაც მედიაცია ნებაყოფლობითია, მთავარი შეკითხვაა, თუ როგორ უნდა დავარწმუნოთ მხარეები, მონაწილეობა მიიღონ პროცედურაში? მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში, ლონდონის ცენტრალურ საოლქო სასამართლოში, რომელშიც მედიაცია სავალდებულო არ იყო, მხარეთა მხოლოდ ხუთმა პროცენტმა აირჩია მიეღო სასამართლოს შეთავაზება. ამდენად, გენი ამტკიცებს, რომ უკეთესი მოდელია ე.წ. „შერჩევითი ზენოლა“, რომელიც მოიცავს საშიშროებას იმისა, რომ სასამართლო დააკისრებს ფულად სანქციებს იმ მხარეს, რომელიც უარს განაცხადებს მედიაციაში მონაწილეობაზე.<sup>2</sup> თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გაერთიანებულ სამეფოში სასამართლოები გზავნიან მხარეებს კერძო მედიაციის მომსახურების მიმწოდებლებთან, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ მათს გადაწყვეტილებაზე მედიაციის არჩევასთან დაკავშირებით.

სლოვენის შემთხვევაში, სადაც მედიაცია მიმდინარეობს სასამართლოში და სასამართლოს ზედამხედველობით, მხარეებს აქვთ „სასამართლოს დღე“. ეს ცალსახად ხელს უწყობს

\*\* ნაშრომი წარმოადგენს ალექს ზალარის სტატიის თარგმანს გამოცემიდან: Zalar, Ales (2004), Managing Judicial Change through Mediation – Part 2, ADR Bulletin: Vol. 6: No. 9, Article 4. ეს ნაშრომი არის სტატიის მეორე ნაწილი, რომელიც აღწერს სასამართლოსთან არსებული მედიაციის წარმატებულ დანერგვას ლიუბლიანაში, სლოვენიაში.

თარგმანი შესრულებულია ნათია ჩიტაშვილის (სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტის წევრი, საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი, მედიატორი, კოლექტიური შრომითი დავის მედიატორი, მედიატორთა ტრენერ-შემფასებელი, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი) და ნანა უზნაძის (სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მედიატორთა ერთიანი რეესტრის წევრობის სერტიფიცირებული კანდიდატი, სტაჟიორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის სტაჟიორი) მიერ.

<sup>1</sup> მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში გათვალისწინებულია სანქციები მედიაციაში მონაწილეობის შესახებ სასამართლოს მითითების დაუსაბუთებელი უარყოფისთვის.

<sup>2</sup> Genn, H, 2002, Court-Based ADR Initiatives for Non-Family Civil Disputes: Commercial Court and Court of Appeal, Lord Chancellor's Department, Research Secretariat, London.

მათს მზაობას, მონაწილეობა მიიღონ მედიაციაში, რაც იმით გამოიხატება, რომ მხარეების 31% დადებითად ჰპასუხობს სასამართლოს ღია მოწვევას.<sup>3</sup> გარდა ამისა, თავად სასამართლოს მიერ მიწვევა ასევე ხელს უწყობს მხარეების მზაობას, რომ მათ მონაწილეობა მიიღონ მედიაციაში. მხარეები ამას აღიქვამენ, როგორც სასამართლოს მოლოდინების ნათელ ნიშანს.

### ინფორმირებული თანხმობა

ნებაყოფლობითი მედიაციის შემთხვევაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მხარეები ინფორმირებულნი იყვნენ მისი უპირატესობების შესახებ. ამისთვის, ლიუბლიანას რაიონული სასამართლო წერილობით შეთავაზებას უგზავნის მხარეებს, პუბლიკაციასთან ერთად, რომელშიც დეტალურადაა განმარტებული მედიაციის პროცედურის უპირატესობები, მისი წესები, შესაძლო შედეგები, დროისა და ხარჯების ასპექტები, მედიატორების კვალიფიკაცია, როგორ შეუძლიათ მათ კონკრეტული მედიატორის აცილება, ინტერესთა კონფლიქტის გამო და ასევე როდის არაა საქმე მედიაციისთვის შესაფერისი.

იმ მხარეებისთვის, რომლებსაც სასამართლო ღიად მოიწვევს მედიაციაში მონაწილეობის მისაღებად, დიდი მნიშვნელობა აქვს სტიმულს. სასამართლომ, სასამართლო პროცესის დიდი ხანგრძლივობა სისუსტიდან უპირატესობად აქცია, რამდენადაც ის უზრუნველყოფს, რომ მედიაციის პროცესი ჩატარდება სამი თვის ვადაში, თანხმობის მიღების დღიდან. სასამართლო ასევე სთავაზობს ნამახალისებელ კიდევ ორ მიზეზს: მედიაცია უფასოა და ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც მედიაციის შედეგად მიიღწევა სასამართლო მორიგების ფორმით, ექვემდებარება აღსრულებას. მხარეებს შეუძლიათ აირჩიონ მედიაცია სასამართლოსგან წინადადების მიღების დღიდან 30 დღის ვადაში, ან მოგვიანებით, ნებისმიერ დროს, პირველი ინსტანციის სამოქალაქო სამართალწარმოების მიმდინარეობისას.

მედიაციაში მონაწილეობის მისაღებად სასამართლო უგზავნის მოწვევას მხარეებს ყველა შემთხვევაში, როდესაც, მოსამართლის აზრით, არ არსებობს აშკარა დაბრკოლებები.

გამონაკლისია ის შემთხვევები, როდესაც სარჩელში, ან შესაგებელში მხარეები აღნიშნავენ, რომ მათ არ სურთ მედიაციაში მონაწილეობა.

თავდაპირველად, სასამართლო მედიაციაზე მოწვევებს უგზავნიდა როგორც მხარეებს, ისე – მათს ადვოკატებსაც. ასეთი პრაქტიკიდან ერთი წლის შემდეგ, სასამართლომ შეწყვიტა ადვოკატებისთვის მოსაწვევებისა და ბროშურების გაგზავნა, რამდენადაც ისინი გაეცნენ რუტინულ თანხმობებ დოკუმენტაციას, სასამართლოსგან.

### ინდივიდუალიზებული მიდგომა

